მინაწერი:

ჩვიდმეტი წლის წინათ დაწერილი ამ სტატიის განსხვავებული ვარიანტი იმ ხანად გამომავალ გაზეთ „ქართულ ფილმში“ გამოქვეყნდა (26 სექტემბერი, 1990 წ). იბეჭდება უცვლელად, როგორც მაშინ დაიწერა. დღეს ავტორი ვერაფერს დაუმატებს მას. ვითარება იგივეა. აგორდა, როგორც მაშინ იტყოდნენ, ახალი ტალღა დეპორტირებულ მესხთა წინააღმდეგ. როგორ არ გავიხსენო პოეტის უკვდავი სტრიქონები, რომელთაც ყავლი არასოდეს გაუვა –

ყოველდღე მოდის ახალი ტალღა,
მყვირალა, სუსტი და დღევანდელი...

მოდის ახალი ტალღა და მოაქვს იგივე მყვირალა და სუსტი არგუმენტები, რომელთა მოჩვენებით სიძლიერეს დღევანდელობის დემაგოგია კვებავს.

23.06.07

ზურაბ კიკნაძე

განსხვავებული აზრი

მსურს გამოვთქვა განსხვავებული აზრი გაზეთ „თბილისის“ რამდენიმე პუბლიკაციაზე, ვიდრე ახალ ცენზურას, ამჯერად უკვე „ქვემოდან“, არ შეუბოჭავს თავისუფლების გზაზე დამდგარი ჩვენი პრესა, ვინაიდან ეროვნული მოძრაობის წიაღიდან უკვე ისმის აშკარა აგრესიულ-დიქტატორული კილო, რომლის ადრესატი გასულ წელს შეიქმნა გაზეთი „ქართული ფილმი“.

გაოცებას იწვევს ამ განახლების დროში იმ ავტორთა ეროვნულ-პოლიტიკური ცნობიერება, რომელთაც სხვაგვარად არ შეუძლიათ თავიანთი პოზიციის დაცვა, თუ არა ისევ და ისევ საბჭოურ იდეოლოგთა და ხელისუფალთა მიერ დაყენებული პათოსით და ტერმინოლოგიით. კვლავ შემოდის სამოქალაქო უფლებებში და კვლავ გვესმის სიტყვა-ცნებები – „ერის ღალატი“, „ერის მოღალატე“ (სახეცვლილება „ხალხის მტრისა“), „სუკის აგენტი“ (სახეცვლილება „ჟანდარმერიის აგენტისა“), „ქართველი ერის ნამდვილი შვილი“ (სახეცვლილება „ქართველი ხალხის საამაყო შვილისა“), სტალინისტური ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნების თუ ფსიქოლოგიის სტერეოტიპები – რომ ქვეყანას ჰყავს ერთადერთი განმათავისუფლებელი, რომელსაც უნდა უმადლოდეს სულიერად დაბეჩავებული ხალხი. ვკითხულობ: „ეროვნული მოძრაობის და ქართველი ერის ნამდვილი შვილი... ვინც უმეტეს ქართველთა გულებიდან ამოშანთული ეროვნული სული აღაზევა საქართველოს სიყვარულით“. საცნაურია არცთუ შორეული წარსულიდან ქვეყნისა და პიროვნების გაიგივება: „ჩვენ გულგრილად ვერ შევხედავთ ბატონ ზვიად გამსახურდიას დაკორტნას, რამეთუ მის მიმართ გადმონთხეული შურით, ბოღმით და ღვარძლით ისედაც დაგლეჯილ , გაუბედურებულ და ტანჯულ საქართველოს კორტნიან“ (გაზეთი „თბილისი“, 21. XII. 89. „ღია წერილი ქართველ მეცნიერთა ჯგუფს“).

„ღია წერილი ქართველ მეცნიერთა ჯგუფს“ პაროდიის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ სავალალო ის არის, რომ იგი ცდილობს თავის დამკვიდრებას, მოქალაქეობრივი სტატუსის მოპოვებას. ნუთუ ამ ამაღლებულ-მოწუწუნე კილოთი შეთხზული წერილის ავტორებს სრულებით დაკარგული აქვთ იუმორის გრძნობა? ასეთი კილოთი და ლექსიკით

სწორედ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იწერებოდა იმ ეპოქაში, როცა მას მართლაც „კორტნიდნენ“, სდევნიდნენ და ლაფში სვრიდნენ მის სახელს სრულიად უსამართლოდ, წერილების ავტორთა სამარცხვინოდ. ამიტომაც იყო ის წერილები უმეტესწილად ანონიმური. დღეს კი შეიძლება აღარც იყოს სათაკილო ამგვარად შეიარაღებული სიტყვა. წერილის ავტორნი აღიარებენ: „შეუწყნარებლობის, ყოველგვარი განსხვავებული აზრის მიუღებლობის ატმოსფერო უცხოა ჩვენი ეროვნული მოძრაობისთვისო“, მაგრამ იქვე, წინა და მომდევნო აბზაცებში იჩენენ ლიტონ შეუწყნარებლობას სხვათა პოზიციის მიმართ ერთ კარდინალურ, შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ზნეობრივ პრობლემაზე (ამაზე ქვევით), აცხადებენ რა თავიანთ მოწინააღმდეგეთ ერის მოღალატეებად იმ მიზეზით, რომ მათი აზრი თუ შეხედულება განსხვავებული აზრი და შეხედულება კი არ არის, არამედ ერის ღალატია. „ერის ღალატი განსხვავებული აზრი არ არის“, ასკვნიან ისინი სრული რწმენით, რომ მათ და მხოლოდ მათ უჭირავთ ხელში ჭეშმარიტებისა და ზნეობის კრიტერიუმები.

„და საერთოდ ყველამ უნდა შეიგრძნოს, რომ „თურქი მესხების“ თემაზე შეწყდეს პოლემიკა“ – აცხადებენ წერილის ავტორნი, ასოთხმოცდაერთი კაცი. რა რწმუნებით, რა უფლებამოსილებით, რა სიმაღლიდან, რომელი მომავლიდან და წარსულიდან?

მათი ფიქრით, ამ კონკრეტულ პრობლემაზე "განსხვავებული აზრის" მატარებელთა შეშინება და სახელის გატეხა შეიძლება მათთვის ისეთი ფაქტების შეხსენებით, როგორიც არის: რომ დღეს „საქართველოში გლოვის ზარია“, რომ „ქართველ ერს ვერ მოგვინელებია 9 აპრილის სისხლიანი ღამე“, რომ „დედასამშობლოს გვართმევენ უცხოტომისანი“, რომ „მუსულმანური სამყარო ილაშქრებს ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ“, რომ „საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას“, „ქვეყანა თავზე გვექცევა“, ქართველი ერი „ფსიქოზამდეა მისული“, – ამ დედაბრული წუწუნით აუწყებენ საზოგადოებას, რომ აი, ამ დროს არიან ადამიანები, რომლებიც ბედავენ განსხვავებული აზრი გამოთქვან იმ საკითხზე, რომელიც თურმე უკვე გადაწყვეტილია სამუდამოდ.

კიცხვისა და სახალხო სიძულვილის ღირსად ცხადდება არა მხოლოდ ის, ვინც იცავს უმიწაწყლო მესხების ინტერესებს, არამედ ისინიც, ვინც ბედავენ და მესხთა დამცველებს იცავენ („თქვენ კი, ქართველო მეცნიერებო, იმის მაგივრად, რომ წეროთ აფხაზეთის გაყალბებულ ისტორიაზე... იმ კუთხეებზე, სადაც საქართველოს ყველაზე ძალიან უჭირს, ნ. გელაშვილისა და ჩხეიძეების დამცველად გვევლინებით“). რატომ ერთმევათ ამ ადამიანებს გულმოწყალების უფლება? იმიტომ, რომ თურმე ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალოდ დანაშაულთან, ან თუნდაც ადამიანურ შეცდომასთან, არამედ შეგნებულ ღალატთან, ხოლო „ერის ღალატი განსხვავებული აზრი არ არისო“. აი, აქ იწურება წერილის ავტორთა, ასოთხმოცდაერთი კაცის, ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნების სიღრმე.

181 კაცის ხელმოწერილი წერილი (ათასჯერ მეტსაც რომ მოეწერა ხელი) ვერ დამარწმუნებს იმაში, რომ განსხვავებული აზრი მესხებზე, მესხების საქართველოში დაბრუნებაზე ერის ღალატია. რაც ღალატი არ იყო ამ ნახევარი წლის წინათ, როგორ გახდა ღალატი დღეს? ნუთუ პოლიტიკური სიტუაციის მსხვერპლი უნდა შეიქნეს ხალხი, რომლის უკან დასაბრუნებლად თავს არ ზოგავდნენ სამართალდამცველნი ამ ათიოდე წლის წინათ და უფრო ადრეც?

181 კაცი, რომელსაც პრეტენზია აქვს წარმოადგენდეს სრულიად საქართველოს, უფრო მეტიც: ქრისტიანულ საქართველოს, შეახსენებს ქართველ მეცნიერთა ჯგუფს, „ქვეყანა თავზე გვექცევა“, თქვენ კი ამ დროსო... თითქოს იმ ხალხის უბედურება ჩვენივე უბედურება არ იყოს, ამ დაქცევის ნაწილი არ იყოს: თითქოს მათი საკითხი ისევ ჩვენი დაქცეული ქვეყნის გადასაწყვეტი არ იყოს (და არა თავიდან მოსაწყვეტი). განა ქვეყნის დაქცევა ის არ არის, რაც ახლა მათ თავზე ხდება, ჩვენ კი მათი შეწევნის ძალა არ

გვყოფნის, არც ფიზიკური, არც მორალური. ვიძახოთ ამის შემდეგ უზენაესი ტრიბუნიდან: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქრისტიანულ საქართველოს! ჩვენთან არს ღმერთი!“ იქნება ჩვენთან ღმერთი?

აქ არ ვეხები მესხების საკითხს არსებითად, მის სტრატეგიას და ტაქტიკას. მე ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა ნამდვილად ეროვნული პრობლემაა თავისი წმინდა სახით. ეს არის ისტორიული განსაცდელი, უპირატესად ზნეობრივი და არა მხოლოდ პოლიტიკური თუ ეკონომიკური, იგი უნდა გადაიტანოს ქართველობამ ღირსეულად, პასუხისმგებლობით, როგორც პიროვნებამ, საკუთარი სინდისის წინაშე და ღვთის წინაშე. მით უმეტეს, თუ მას მომავალში იდეალად აქვს დასახული თავისუფალი ქრისტიანული სახელმწიფოს აშენება.

ახლა ვნახოთ, როგორ შეიცვალა ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება გასული წლის ზაფხულიდან.

აშკარაა მკვეთრი შემობრუნება მას შემდეგ, რაც ბორჩალოს თათრებმა „ჯანყი“ მოახდინეს ქვემო ქართლში. ატყდა პანიკა იმ ხმების შედეგად, რომ „მესხი თურქების“ ურდოები მოადგნენ საქართველოს საზღვარს. მაშინ ჯერ კიდევ არავინ უარყოფდა მათ შორის ქართველობის მნიშვნელოვან ნაწილს. მაშინ ვამბობდით, მათ ვეუბნებოდით: ჯერ ვერ შემოგიშვებთ, ძმებო, ჩვენი ღვიძლები ხართ, მაგრამ დღეს უჭირს ჩვენს (!) ქვეყანას, შედით ჩვენს (!) მდგომარეობაში. ასე ველაპარაკებოდით ხონში ნათესავებთან ჩამოსულ ფერგანელ თუ სხვა ადგილის მესხებს, რომლებიც მზად იყვნენ საქართველოში დასარჩენად უკვე გამზადებულ სახლებში.

ასეთი იყო სახელდახელო, ასე თუ ისე გასაგები არგუმენტი. გაჩნდა კიდევ ერთი არგუმენტი უარისა: ვინ ამოგვარჩევინებს იმ უშქარ ხალხში ნამდვილ მესხებს, ქართველებს, ქართული ორიენტაციის მქონეთ, დღესდღეობით ეროვნება და ენადაკარგულთ. თუმცა სწორედ მაშინ იყო, რომ ომახიანად გაისმოდა და დღესაც გაისმის თამამი მოთხოვნები საქართველოს დამოუკიდებლობისა, მისი გასვლისა სსრკ ფარგლებს გარეთ, მოწოდებები „ძირს დამპალი იმპერია“, „საოკუპაციო ჯარებმა დასტოვონ საქართველო“ – ამგვარი მოწოდებების გრუხუნში და გრიალში ჩვენვე ვამბობთ, რომ არავინ აგვარჩევინებს ჩვენი ნებით ჩვენიანებს იმ ურდოდან.

სხვა არგუმენტი უარისა არის შემდეგი: მცირემიწიანი რესპუბლიკა ვართ, სტიქიისგან დაზარალებული ჩვენიანებისთვისაც ვერ მოგვივლია. ეს მართალია, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ისინიც ჩვენები არიან. განა ისინი არ არიან დაზარალებულნი სტიქიაზე უარესი დარტყმის შედეგად?

კიდევ: მათ შორის თითქმის არ არიან ქართველები. ამით ეს პრობლემა ბევრისთვის მოხსნილია.

იგრძნობოდა რა ამ არგუმენტთა აშკარა წარმავლობა და მათი მოსალოდნელი გაბათილება ისტორიის სამსჯავროზე (შესაძლოა, სულ მოკლე ხანშიც), ამ ბოლო ხანს ამოტივტივდა ახალი „ძლიერი“, გამანადგურებელი „არგუმენტი“:

ქვეყანაც რომ თავზე არ გვექცეოდეს, მცირემიწიანი რესპუბლიკაც რომ არ ვიყოთ, ნამდვილ ქართველთა ამორჩევის უფლებაც რომ მოგვცენ, მაინც ვერ შემოგიშვებთ, ვერ მიგიღებთ ჩვენს ქრისტიანულ, მაღალზნეობრივ ქვეყანაში, რადგან კაცისმკვლელები ხართ ყველანი – თქვენ, თქვენი მამა-პაპა და თქვენი შვილებიც.

„ნამდვილ მესხებს რომ ჰკითხოთ, 1944 წელს საქართველოდან გასახლებული მაჰმადიანი მესხები უფრო სასტიკად ექცეოდნენ ქართულ მოსახლეობას, ვიდრე თურქები. არის ამ სისასტიკის ფაქტები, არიან თვითმხილველი მესხები, რაზეც პრესაში ბევრჯერ დაიწერა“, აცხადებს 181 ხელისმომწერი ღვთისა და ერის წინაშე.

როგორი მოსაწონია: "ნამდვილი მესხები"? როგორი მოსაწონია დაპირისპირება „ნამდვილ“ (ალბათ ქრისტიან) და ცრუ (მაჰმადიან) მესხებს შორის, თანაც, როგორც

ვხედავთ, არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ზნეობრივი ნიშნითაც კი. მაჰმადიანი მესხი თურქზე უარესია (ხუჟე ტატარინა)! ეს ცილისწამებაა გაუბედურებულ ხალხზე, რომ საბოლოოდ გადაუკეტოს მას უკანდასაბრუნებელი გზა. ცილისწამების ხმა მოედო მთელ ქვეყანას და განუსჯელად, დაუფიქრებლად დაიჯერა საზოგადოების ყველა ფენამ, ინტელიგენციამაც კი, ვისაც პირველ რიგში, ევალება მოარული ხმების გაცხრილვა. უფრო მეტიც: არის ტენდენცია ამ ცილისწამების შემდგომი „გაღრმავებისა“. აი, რას წერს ერთი პატივცემული ავტორი:

„განა თქვენზე და ჩემზე უკეთ არ იციან თვით მოხუცმა მესხებმა, ვისთან აქვთ საქმე? სახლებში გვეჭრებოდნენო, ქალებს მიათრევდნენო, გზაში კაცს ხეზე მიაბამდნენ, ცოლს იქვე აუპატიურებდნენო, კაცს თავს აცლიდნენ წვავდნენო, გვაწიკებდნენო და ა. შ. ახლა ვიკითხოთ იმათი შვილები დაგვინდობენ?“ („თბილისი“, 27. XI. 89. "თურქობაზე ორი აზრი? ღია წერილი ქ-ნ ნაირა გელაშვილს").

„იმათი შვილები დაგვინდობენო?“ – ამ არგუმენტის წინაშე უძლურია ყოველი ადამიანური აზრი. აქ ცილია დაწამებული თაობაზე, თაობებზე, მთელ მოდგმაზე, რომელიც თურმე ბედისწერით თუ თავისი ნებით, მოუშორებლივ, ატარებს კაენის ცოდვას თავის სისხლში, გენებში. რა მიზნით წარმოითქვა ეს ფრაზა? რათა გამართლდეს ფერგანა – ახია მათზეო! არა მხოლოდ ფერგანა, 1944 წლის ღამეც: მაშინაც ახი იყო მათზე! აკაკი გელოვანი ხომ ცხადად წერს: „გასახლება ხომ შერჩევით მოხდა, არა ხელადებით!“ მაშინდელ „ენკავედეს“ მხოლოდ კაცისმკვლელები, კაენიანები შეურჩევია გასასახლებლად! გამართლებულია სტალინური რეპრესია. ვისი თვალსაზრისია ეს, თუ არა ბრბოსი (ან სტალინისტებისა)? „ეგენი კაი ხალხი რომ ყოფილიყვნენ, სტალინი არ გადაასახლებდაო“.

181 კაცი წერს, რომ „არის ამ სისასტიკის ფაქტები, ...რაზეც პრესაში ბევრჯერ დაიწერა“. მართალია, დაიწერა სისასტიკის ფაქტები. მაგრამ რატომ არ დაიწერა სხვა, ამ სისასტიკის სრულიად საწინააღმდეგო ფაქტები? რომელმა ცენზურამ, რისმა შიშმა მიჩქმალა ისინი? ამ გაზაფხულზე სახალხო ფრონტში მოდიოდა მესხეთის ყოფილი მკვიდრი, ამჟამად თბილისში მცხოვრები პეტრე გიქოშვილი, რომელიც აღტაცებით იგონებდა მესხეთში ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობის ერთობლივ შრომას ეკლესიების აღდგენისათვის, და კიდევ სხვა მშვიდობიანი თანაცხოვრების ეპიზოდებს. მაგრამ სულ მოკლე ხანში პატივცემულმა პეტრემ სხვა ფაქტებს მიანიჭა უპირატესობა.

ვკითხულობ, სად იყო ეს სისასტიკის ფაქტები იმ ხანად, როცა დღევანდელი მოძრაობის ლიდერები, მთელი მოწინავე საზოგადოება იბრძოდა მესხების დასაბრუნებლად, მხარში ედგა მათ? მაშინაც კაცისმკვლელები იყვნენ ისინი? ხომ ცხადია, რომ იმ საშიშროების ფონზე, რომელიც შეექმნა ქვეყანას გასულ ზაფხულს, ამოტივტივდა და გაზვიადდა სისასტიკის ფაქტები, რომელთა ანალოგიურს საქართველოს ყოველ კუთხეში დავადასტურებთ. დიდთვალება შიშმა, ლამის ჭეშმარიტების კრიტერიუმად გადაქცეულმა, ისე მოიცვა ინტელიგენციის ცნობიერება, რომ ყოველგვარი ობიექტურობის გრძნობა დააკარგვინა, იმ ენასაც კი დაასვა დაღი, რომლითაც ეს შიშის იდეოლოგია არის გამოთქმული. მაგ., ერთი ცნობილი ავტორი წერს შუააზიელ მესხებზე: „ესაა მასა, რასაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ქართველი ვერ მიიღებს“. ამ ფრაზის დამწერისთვის დევნილთა „მასა“ ადამიანთა რიცხვში ჩასათვლელი აღარ არის; იგი არ შედის „ვინ“-კლასში, ის „რა“-კლასშია გადარიცხული.

„ესაა ოდესღაც უმართებულო გადასახლებული და შემდეგ გამრავლებული ხალხი, 400 000 კაცი“ (იგივე ავტორი).

თუ მოითხოვს კომენტარს ეს „ოდესღაც“ (როდის? უხსოვარ დროში?), ეს „უმართებულო“ (სხვა, უფრო ადექვატურ კვალიფიკაციას ვერ იმეტებს ავტორი), ეს

„გამრავლებული“ (მათი კიდევ ერთი დანაშაული, რისთვისაც ეგვიპტის ფარაონი სდევნიდა ისრაელიანებს)?

და, ბოლოს, კულმინაცია: „ეს მასა მაშინებს (400 000 – ეს დაახლოებით ნაპოლეონის არმიაა, რითაც ევროპა დაიპყრო)“.

სხვა ავტორთან შიშის გრძნობა განზავებულია ცინიზმით, თუმცა ვერ დავამტკიცებ, რომ ეს ცინიზმი, ამ ნაწერში რომ იგრძნობა, წინასწარგანზრახული იყოს:

„თურქ მესხთა“ მოძალებამ ქართველი ერი კატასტროფამდე რომ შეიძლება მიიყვანოს, ეს იმ ნატანჯმა ქართველმა (მაჰმადიანმა ქართველებმა) უნდა დაინახოს – საქართველოს უნდა გაუგოს მისმა სისხლმა და ხორცმა, და დაბრუნების ბედნიერი დღის დადგომამდე, სადაც არის, იქვე იბრძოლოს თავისი გვარის, ეროვნების აღდგენისათვის“ (განურჩეველი „განაჩენის“ შესახებ, „თბილისი“, 15. XII. 1989).

ანუ: ნატანჯო ქართველებო, კიდევ ცოტა ხანს გაიტანჯეთ, იბრძოლეთ სადაც ხართ, ოღონდ ჩვენი იმედი ნუ გექნებათ! მალე გაგითენდებათ ბედნიერი დღე. მაშინ მობრძანდით ქართული გვარებითა და ქართული ენით!

მარტო ის რად ღირს, რომ ამ ნატანჯმა ქართველობამ „უნდა გაუგოს“ საქართველოს! როგორ? წილიც აღარ უდევთ მათ ამ საქართველოში? ესინი უკვე ისინი გახდნენ, უკვე სხვანი შეიქნენ სამშობლოსათვის? „უნდა გაუგონ!“ – ასე ხომ მხოლოდ უცხოებზე ლაპარაკობენ. სამშობლომ გაწირა თავისი ბენიამინი და ახლა მისგან გაგებას თხოულობს, ხოლო მომავალში – ეროვნების დამადასტურებელ საბუთს. მერე სად მოიპოვოს მან ეს საბუთი?

გაუგებრობები ამით არ ამოიწურება. ყველაზე საზარელი და, ალბათ, სამარცხვინო ის არის რომ „დიდთვალებიანი“, ნამდვილად ქრისტიანობამდელი, წარმართული შიში ღვთის გმობაში აგდებს ადამიანს. ავტორი წერს შავით თეთრზე:

„...ესაა მასა, რასაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ქართველი ვერ მიიღებს. არა იმიტომ, რომ არ გვეცოდებიან და ჩვენთვის უცხოა „ქრისტიანული სათნოება“, რაზედაც გვიკიჟინებთ, – ასეთი რამ, ღვთის წყალობით, ქართველებს არასოდეს დაგვკლებია, და სავალალო შედეგიც თვალწინ გვაქვს“ (ხაზი ჩემია, ზ. კ.).

აქ ყველაფერი ყირამალაა დაყენებული. ქრისტიანული სათნოება და ღვთის წყალობაც კი ჩვენი ისტორიული უბედურების წყაროდ არის გამოცხადებული. მკითხველმა განსაჯოს, რა მოვლენასთან გვაქვს აქ საქმე. გასაკვირი თუმცა რა უნდა იყოს: უღვთო აზრის დამცველი განმდგარია ღვთისაგან.

დღეს ყოველ მიტინგზე გაისმის იმედიანი შეძახილი: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქრისტიანულ საქართველოს!“ თუ ეს სიტყვები მთელი გულით არის ნათქვამი და ასევე მთელი გულით არის განცდილი, ამით ჩვენ ვადასტურებთ, რომ გვსურს, ვესწრაფით იმას, რომ ეს ქვეყანა, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა, ნამდვილად ქრისტიანული ქვეყანა იყოს, რომ მასში დამკვიდრდეს ქრისტიანული სათნოება ჩვენი მეცადინეობით და ღვთის მადლით. ასეთ ქვეყანას ჩვენს დღეებშივე უნდა ეყრებოდეს საფუძველი: როგორც ვიფიქრებთ და მოვიქცევით დღეს, ისეთი იქნება ხვალინდელი ქვეყანა.

ამავე მიტინგებზე კაცს მოუსმენია მხილების, შეჩვენების რევკომული მოწოდებები – ცნობილი პიროვნებანი „იმხილებიან“ ერის ღალატში, ცხადდებიან აგენტებად, მკვლელებად – სიტყვა კი დამთავრებულა შეძახილით: „ჩვენთან არს ღმერთი!“ ასეთ საქმეში ღმერთი ნამდვილად არ იქნება ჩვენთან.

7–17.I.1990

P.S. მაჰმადიანი მესხების პრობლემა დღეს უკვე ნამდვილ ეროვნულ ტრაგედიაშია გადაზრდილი, უფრო მძიმეში, ვიდრე ფერგანაში მომხდარი სისხლიანი ამბებია. რადგან ახლა საქმე ეხება ხალხის არა ხორცსა და სისხლს, არამედ მის სულს, მის ეროვნულ თვითშეგნებას, რომელიც ითრგუნება, როგორც 0ძ, დიასპორაში, ისევე აძ, სამშობლოში. ჩვენში აკრძალულია ისევ და ისევ ეროვნული მოძრაობის სახელით, მაჰმადიან მესხებზე სრული სიმართლის წერა. ამ აკრძალვას საბოლოო ბეჭედი დაესვა ამ წლის დასაწყისში კინოს სახლის წინ ჩატარებულ ცნობილ მიტინგზე, რომელიც აშკარად თვლიდა თავს ეროვნული მოძრაობის ნაწილად. აქ ხალხის სახელით, ერის მოღალატედ გამოცხადების მუქარით ისტორიკოსს და პოეტს შ. ლომსაძეს აეკრძალა მესხეთზე და მესხებზე წერა. მეტიც: მიტინგმა მოითხოვა იმ წიგნების დაწვა, რომლებიც ისტორიკოსს გამოქვეყნებული აქვს.

ამ სიტყვიერი „საარტილერიო“ მომზადების დაგვირგვინება იყო 24 ივლისს ბრეთში (ქარელის რ-ნი) ჩასახლებულ მშვიდობიან მაჰმადიან მესხთა – დვალიძეთა 10 ოჯახის (სულ 62 სული, მათ შორის 40 არასრულწლოვანი) დარბევა, რაზეც მხოლოდ 27 ივლისს იუწყებოდა გაზეთი „კომუნისტი“. „ადგილობრივი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სასწრაფოდ მოითხოვა დვალაძეების გასახლება, დაიწყო მათი სახლების ბლოკირება“, წერს გულგრილად გაზეთ „კომუნისტის“ ანონიმი ავტორი, თითქოს ავღანურ „დუშმანებს“ ეხებოდეს ამბავი. კრინტიც არ არის დაძრული და არც მერე დაძრულა იმის თაობაზე, თუ რა პროვოკაციული აქციები უძღვოდა ამ დარბევას. გაზეთი არ ახსენებს იმ მიტინგს, რომელიც გაიმართა ერთი კვირით ადრე ახალციხიდან „მრგვალი მაგიდის“ მიერ საგანგებოდ ჩამოყვანილი „ნამდვილი მესხების“ მონაწილეობით, ადგილობრივი მოსახლეობის იდეოლოგიური შემზადების მიზნით – დვალიძეთა წინააღმდეგ ასამხედრებლად. არც იმ მიტინგს ახსენებს გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც რუისში იქნა გამართული და რომლის უჩვეულოდ აღგზნებულმა მონაწილეებმა, ბრეთში ჩასულებმა, ფაქტიურად გადაწყვიტეს დვალაძეთა ბედი, რომ მათ საქართველოში აღარ ეცხოვრათ. და ასეც მოხდა.

ზურაბ კიკნაძე